

მაკა ლაბარტყავა

-მდე, -მდის თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ცნობილია, რომ ყოველი ცოცხალი ენა მუდმივად განიცდის ცვლილებას – იცვლება სიტყვათა მარაგი, სიტყვათა ბგერითი მხარე და მნიშვნელობა, იცვლება სიტყვის ფორმა და შესიტყვების აგებულება, ის აგრძელებს განვითარებას ჩვენთან ერთად და, ამდენად, დინამიკურია.

მაშასადამე, „ცვალებად ენას უცვლელი ნორმა ვერ ექნება: ენის ცვალებადობის ფაქტიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს ენობრივი ნორმის ცვალებადობა“ [ჩიქოვაძე 2011: 213].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადახედვას მოითხოვს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ნორმად მიღებული ზოგი საკითხი.

ენაში მომხდარი ცვლილებების გამო შესაძლებელია, ნორმად მიღებული ორი პარალელური ფორმიდან ერთ-ერთი უფრო პასიურად გახდეს და ნაკლებგამოყენებადიც.

როგორც ცნობილია, **მდე // მდის** თანდებულები დაერთვის სახელს ვითარებით ბრუნვაში და გამოხატავს მოქმედების ზღვარს სივრცესა და დროში. აღნიშნული თანდებულები „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია შემდეგნაირად: „**-მდე // -მდის** თანდებული (მაგ.: ქალაქამდე // ქალაქამდის; ნახვამდის)“ [ქელი].

ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ აქ თანდებულია **-დე // -დი**, ხოლო **მ** არის ნაწევარი, რომელსაც დაერთვის **-დე // -დი** და ორივე ერთად დაერთვის ვითარებითის ფორმას, სრულს ან შეკვეცილს – **კარა-მდე // -მდი, სახლა-მდე // -მდი, ქალაქა-მდე // -მდი; კაცად-მდე, ქალაქად-მდე, სახლად-მდე, ჯოჯოხეთად-მდე**. მკვლევრის აზრით, ხმოვანფუძიან სახელებში დართვა ხდება ბრუნვის ნიშნის გარეშე, მაგ., **მთა-მ მთა-მდე // -მდი** და სხვა... აკაკი შანიძე ნიკო მარს ეთანხმება იმაში, რომ თანდებული ორი ნაწილისაგან შედგება და ეს ნაწილებია: **მ+დე**, მაგრამ არ იზიარებს იმას, რომ თითქოს პირველ ნაწილში

ქართული ნაწევარი გვექონდეს, ხოლო მეორეში – ხუნძური ელემენტი. მეცნიერის აზრით, **მ** მიღებული ჩანს მი-სგან, რომელიც სახელებში თანდებულად არის გამოყენებული, ზმნებში კი – ზმნისწინად (პრევერბად). როგორც ზმნისწინი, **მი** კარგად ცნობილი მაწარმოებელია (**მი-ვიდა, მი-ავლინა, მი-აგო** და სხვა). უფრო იშვიათია მისი თანდებულად ხმარება, მაგრამ მაინც დასტურდება ამ ფუნქციით, ოღონდ ამ შემთხვევაში ის ხან წინ ერთვის სახელს და ხანაც – ბოლოს. წინ დართვისას სახელი ვითარებით ბრუნვაში უნდა იყოს დასმული, მაგრამ ეს არ კმარა: სახელს **მდე-ც** უნდა ჰქონდეს დართული ბოლოს. მაშასადამე, მიღებულია ფორმა, რომელშიც **მი** არსებითად ორჯერ არის ნახმარი – თავში და ბოლოში – იმ განსხვავებით, რომ ბოლოში მი შეკვეცილია (**მი → მ**)“ [შანიძე 1981: 462]. მეცნიერს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ფსალმუნიდან: **მიუკუნისამდე**: „შენ, უფალო, მიცვენ ჩუენ და დამიმარხენ ჩუენ ამიერ თესლითგან და **მიუკუნისამდე**“ (ფს. 11,7); „და შეერაცხა მას სიმართლედ თესლითი თესლადმდე **მიუკუნისამდე**“ (ფს. 105, 30). მიერთამდე: „არავინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკობებად, არავინ არს **მიერთამდე**“ (ფს. 13, 3). **მიმცოგენბადმდე**: „და **მიმცოგენბადმდე** და სიბერემდე, ღმერთო ჩემო, ნუ განმაგდებ მე“ (ფს. 70, 18). **მიმაღლადმდე**: „ძლიერებად შენი და სიმართლჳ შენი, ღმერთო, **მიმაღლადმდე**“ (ფს. 70, 19). **მიმწუხრადმდე**: „საქმილავითგან განთიადისა **მიმწუხრადმდე**“ (ფს. 129, 5)...

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის **დ -მდე // -მდის** თანდებულის წინ მეტწილად დაცული იყო (**დღე-დ-მდე // დღე-დ /მდის, სახლ-ად-მდე...**), თუმცა ვითარებითის **დ** ამ თანდებულის წინ ადრევე დაიკარგა. ბუნებრივია, ასეთივე ვითარება გვაქვს თანამედროვე ქართულშიც. მხოლოდ თანხმომავნფუძიან სახელებშია შემონახული ვითარებითი ბრუნვის ნიშნის **ა** ელემენტი (**სახლ-ა-მდე**). ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორივე ვარიანტი: **-მდე** და **-მდის**, რომელთაგანაც უფრო გავრცელებული იყო **-მდე**. XVI-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში ამათ დაემატა **-მდენ, -მდენა, -მდი, -მდინ, -მდინა,**

-მდისინ, -მდისინა ვარიანტები, ისინი ამჟამად დაცულია კილოებში და ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის მწერალთა ენაში [ნორმები1986: 98].

იქვე აღნიშნულია, რომ ანალოგიური ვითარება გვაქვს დღევანდელ სალიტერატურო ქართულშიც – **მდე**, **მდის** სახეობები თითქმის თანაბრადაა გავრცელებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადაისინჯა **მდე** და **მდის** თანდებულდართული რამდენიმე ლექსიკური ერთეული ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ქართული ენის კორპუსის მონაცემთა მიხედვით და დადასტურდა, რომ **მდე** თანდებულისანი ლექსიკური ერთეულები ბევრად აღემატება **მდის** თანდებულისანი ვარიანტებს.

ქალაქამდე და ქალაქამდის

ქალაქამდე	ქეევი	ქევი
	89	18
ქალაქამდის	ქეევი	ქევი
	71	3

მაგალითები*

- ქალაქამდე:** „**ქალაქამდე** დიდი გზა გვაქვს“ (მ. ჯავახიშვილი);
 „ჯურხა, ძმაო, ჯურხა, **ქალაქამდე** გამაცილე – შევევედრე მე“ (მ. ჯავახიშვილი);
 „ლაპარაკს ვუბამ, ბოლოს და ბოლოს უფასოდ მიყვავარ **ქალაქამდე**“ („ლიტ. პალიტრა“, 2008);
 „ამის მიზეზი ის გახდა, რომ არდადეგებზე მშობლიურ **ქალაქამდე** რკინიგზის ბილეთი გაცილებით ძვირი დაუჯდებოდა“ („საქ. რესპუბლიკა“, 2009);
 „თელავიდან **ქალაქამდე** დიდი მანძილია“ („საქ. რესპუბლიკა“, 2009).
- ქალაქამდის:** „**ქალაქამდის** ევლოთ და ეხლა, ერთ გუნდად შჯგუფებულნი, გატაცებით გაჰმღეროდნენ“ (ვ. ბარნოვი);
 „**ქალაქამდის** უნდა მოვიტყუო მტერი და აქ შევებრძოლო“ (ვ. ბარნოვი);

* საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან და ქართული ენის კორპუსიდან. მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

„ფინანსების უქონლობის გამო ტაქსით მხოლოდ **ქა-
ლაქამდის** მოვიდნენ“ („ახალი თაობა“, 2000).

მაშასადამე, **ქალაქამდე** რაოდენობრივად მეტია **ქალაქამდის**
ლექსიკურ ერთეულზე

ქევის მონაც.
18-ით

ქევის მონაც.
15-ით

განსხვავებული ვითარებაა **უნივერსიტეტამდე** და **უნივერსი-
ტეტამდის** ლექსიკურ ერთეულებთან. **-მდის** თანდებულიანი (**უნი-
ვერსიტეტამდის**) ლექსიკური ერთეული საერთოდ არ დასტურდება
დასახელებულ კორპუსებში.

უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტამდის

უნივერსიტეტამდე	ქევი	ქევი
	34	4
უნივერსიტეტამდის	ქევი	ქევი
	0	0

მაგალითები

უნივერსიტეტამდე: „ტაქსის მძღოლმა **უნივერსიტეტამდე** მიყვანა შესთავაზა“ (რ. მიშველაძე);
„სანამ **უნივერსიტეტამდე** მიაღწევდა გუნიას მოსკვიჩს ახალი სენი აღმოაჩნდა“ (რ. მიშველაძე);
„**უნივერსიტეტამდე** მივედით, აქაც გზები გადაკეტილი დაგვხვდა“ („ახალი თაობა“, 2000);
„არა, ბატონო, ჯარი **უნივერსიტეტამდე** აქვს მოვლილი“ („საქ. რესპუბლიკა“, 2005);
„იცნო, გადავიდა ქუჩაზე, გამოართვა ჭურჭელი და წამოაღებინა **უნივერსიტეტამდე**“ („საქ. რესპუბლიკა“, 2006).

მაშასადამე, **უნივერსიტეტამდე** რაოდენობრივად მეტია **უნი-
ვერსიტეტამდის** ლექსიკურ ერთეულზე

ქვევის მონაც.

34 -ით

ქვეის მონაც.

4-ით

ეკლესიამდე და ეკლესიამდის

ეკლესიამდე

ქვევი

ქვევი

72

5

ეკლესიამდის

ქვევი

ქვევი

1

1

მაგალითები

ეკლესიამდე: „**ეკლესიამდე** ნაბიჯით ატარა ცხენი“ (ო. ჭილაძე);
„თურქებთან თამბაქოსა და ქალაღდს ვიყიდი და
გამოვუყვები ფეხით სენტ სეივერზის **ეკლესიამდე**“
(ა. მორჩილაძე);

„...სიონის საკათედრო ტაძრიდან სომხურ **ეკლესია-
მდე** მსვლელობა მოაწყვეს“ („ახალი თაობა“, 2005);

„შეყვარებული თავადი შეყვარებულის მხოლოდ **ეკ-
ლესიამდე** მიცილებას და გამოცილებას ახერხებდა“
(„ლიტ. პალიტრა“, 2008);

„ამ ვნებამ **ეკლესიამდე** მიმიყვანა“ („ახალი თაობა“,
2012).

ეკლესიამდის: „სხვებთან ერთად იგი ცხენით წაჰყვა დედოფალს **ეკ-
ლესიამდის**“ (დ. კლდიაშვილი);

„ავლაბრის მოედნიდან ქუჩა შესდევს ზევით და
მთავარანგელოზის **ეკლესიამდის** უწევს“ (ვ. ბარნო-
ვი).

მაშასადამე, **ეკლესიამდე** რაოდენობრივად მეტია **ეკლესია-
მდის** ლექსიკურ ერთეულზე

ქვევის მონაც.

71-ით

ქვეის მონაც.

4-ით

	ჩემამდე და ჩემამდის	
ჩემამდე	ქვეპი	ქვაპი
	556	40
ჩემამდის	ქვეპი	ქვაპი
	10	0

მაგალითები

ჩემამდე: „ჯამის ნაფლეთები **ჩემამდე** წყვეტილად აღწევდა“ (ბ. ჯანიკაშვილი);
 „ეს მომთაფლინა როგორმე და სანამ ისინი **ჩემამდე** მოვლენ, დუბაის იქით ვიქნები“(თ. მეტრეველი);
 „რას ვხედავ – რამდენიმე ჯეელ მეზობელს, **ჩემამდე** მოუყრია აქ თავი“ (დ. ტურაშვილი);
 „საკვირველია **ჩემამდე** რატომ არ მოვიდა თოთიას და მანგიას შუღლი“ (მ. ჯავახიშვილი);
 „ყველა ის ინფორმაცია, რომელიც **ჩემამდე** მოდის შედგენილია სანდო წყაროებზე დაყრდნობით“ („24 საათი“, 2005)...

ჩემამდის: „დღეს მე მსურს ვიმღერო ისე, როგორც **ჩემამდის** არავის უმღერია, რადგან ეს სიმღერა შენზე იქნება“ (ტ. ტაბიძე);
 „პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებს **ჩემამდის**: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები“ (ვაჟა);
 „მხოლოდ რაღაც ბუბუნნი, გრიალი, ბუნდი ჟრიამული მოდის **ჩემამდის**“ (ვაჟა);
 „ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივისაც არ უშვებენ **ჩემამდის!**“ (ვაჟა);
 „მნათობის“ მეექვსე ნომერმა გუშინდა მოაღწია **ჩემამდის**“ („საქ. რესპუბლიკა“, 2008).

როგორც ჩანს, **ჩემამდე** რაოდენობრივად მეტია **ჩემამდის** ლექსიკურ ერთეულზე

ქვეპის მონაც.
540-ით

ქვაპის მონაც.
15-ით

აქამდე და აქამდის

აქამდე	ქევიკი 24106	ქეკი 678
აქამდის	ქევიკი 318	ქეკი 185

მაგალითები

- აქამდე:** „მეგონა ენას მაჭრიდნენ, მაგრამ საქმე **აქამდე** არ მი-სულა“ (ბ.ჯანიკაშვილი);
„ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდ-რე **აქამდე**, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვ-რება“ (გ. დოჩანაშვილი);
„**აქამდე** გულამღვრეული კირილე გაახალისიანა ამ გარემოებამ“ (დ. კლდიაშვილი);
„დიდი ქალბატონი რომ არ მწყალობდეს, ის წუწვი **აქამდე** თავისას გაიტანდა“ (მ. ჯავახიშვილი);
„ამის დასამტკიცებლად შენზე ბევრ რამეს ამბობენ შენი **აქამდე** საყვარელი – მეზობელი და ამხანაგები“ (დ. კლდიაშვილი)...
- აქამდის:** „შე კაი კაცო, თუ **აქამდის** არ იცნობდი ჩვენს მშრო-მელ ხალხს, ეხლა მაინც დააკვირდი“ (მ. ჯავახიშვი-ლი);
„**აქამდის** უძრავად მწოლარე, ახლა ხან ერთ გვერდ-ზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე“ (ალ. ყაზბეგი);
„ხალხი, რომელიც **აქამდის** დაჩოქილი იდგა, ახლა წამოიმართა“ (ალ. ყაზბეგი);
„კი მაგრამ, სად იყავ **აქამდის** გადაკარგული, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო?“ (დ. შენგელაია);
„სად იყავი **აქამდის**, რად არ ჩანდი მცხეთაში?“ (ვ. გა-მსახურდია).

მაშასადამე, **აქამდე** რაოდენობრივად მეტია **აქამდის** ლექსი-კურ ერთეულზე

ქევიკის მონაც.
23788-ით

ქეკის მონაც.
40-ით

უნდა აღინიშნოს, რომ **მდის** სახეობა გამოყენებულია ზოგიერთ გაქვავებულ გამოთქმაშიც, ასეთებია გამოთხოვების ფორმულები: **ნახვამდის**, **ხვალამდის**.

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ზემოთ დასახელებული ორივე ფორმა ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ მომზადებულ გამოცემაში [„მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“, 2016] ეს ლექსიკური ერთეულები პარალელურ ვარიანტებადაა – **ხვალამდე** // **ხვალამდის**. პირველ ადგილას –**მდე** თანდებულიანი ფორმა გვხვდება, რაც **ხვალამდე** ლექსიკური ერთეულის უპირატესობაზე მიანიშნებს (**ხვალამდის** ფორმასთან შედარებით), რის საფუძველსაც ამ ფორმათა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი იძლევა.

შენიშვნა:

ქევის მონაც.
ხვალამდე –212;
ხვალამდე –25;

ქევის მონაც.
ხვალამდის –23.
ხვალამდის –7.

ზემოთქმული ეხება როგორც გამოთხოვების, დამშვიდობების აღნიშვნელ გამოთქმებს (მაგ.: „აბა, მშვიდობით, **ხვალამდე**“, შდრ.: – **ხვალამდის!** – მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევაძინე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა“ (ნ. დუმბაძე), ისე დროის ზმნისართებს (იმ ფორმებს, რომელთაც დროის სემანტიკა აქვთ), მაგ.: „ნულარ ტირი, ძამიკო, **ხვალამდე** გასძელ, და სამ ულუფას მოვაცემინებ“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „თქვენი პატივისცემით გამოძიება **ხვალამდის** გადამიდგია, – და წყნარად გავიდა“ (ალ. ყაზბეგი); „**ხვალამდე** არ ჩამოივლიანო, ძობამ რომ უთხრა, – ვინ აღარ ჩამოივლის? (ჭ. ამირეჯიბი), შდრ.: „შენ აქ მოისვენე **ხვალამდის**, – ჯვარი გადასახა, შიშჩამდგარი თვალებით ერთხელ კიდევ შეხედა ყრმას (გრ. აბაშიძე); „რას ფიქრობ, ვერტმფრენი რომ გავუშვათ და **ხვალამდე** აქ დავრჩეთო“ (კ. გამსახურდია), შდრ.: „მხოლოდ გთხოვთ **ხვალამდის** დამაცადოთ, დღეს მეტად სუსტადა ვარ“ (ალ. ყაზბეგი).

გამოთხოვების, დამშვიდობების შემთხვევაში, ბუნებრივია, მართებულ ფორმად –**მდის** თანდებულიანი (**ნახვამდის**) ვარიანტი მიიჩნევა, რასაც მხარს უჭერს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზიც. „**ნახვამდის** იგივეა, რაც მშვიდობით!“ (ქეგლი), მაგ.: „ხათუთა, ჩემო ხათუთი! **ნა-**

ხვამდის, გენაცვალოს ვაჟიკა, **ნავამდის!** (მ. ჯავახიშვილი); „წარმო-
იდგინეთ, სულ სხვა რამ შემძახა: **ნახვამდის**, სიმიკო! (გ. დოჩანა-
შვილი); „აბა, **ნახვამდის**, არ დაგავიწყდეს! – და ბიჭი გადაუხვევს
გზაბოძალში“ (ნ. ლორთქიფანიძე); „**ნახვამდის!** – მივამახე და სამა-
გიერო პასუხს აღარ დაველოდე“ (დ. შენგელაია)... თუმცა გვხვდება
დამშვიდობების, გამოთხოვების შინაარსით გამოყენებული **-მდე**
თანდებულიანი (**ნახვამდე**) ფორმაც: „გზა მშვიდობისა! **ნახვამდე**, –
მიუგო გილიომენმა...“ (გ. ფლობერი)...

როცა ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეული დროის
ზმნისართის ფუნქციით არის გამოყენებული, **-მდე** თანდებულიანი
ფორმები სჭარბობენ **-მდის** თანდებულიან ფორმებს.

შენიშვნა:	ქეკის მონაც.	ქეკის მონაც.
	ნახვამდე –31;	ნახვამდის – 616.
	ნახვამდე –2;	ნახვამდის –97.

მაგ: „ყოველი დღე, მის **ნახვამდე** რომ ედო, ღვთის საჩუქრად
მიაჩნდა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008); „მათ მიერ წარმოდგენილი შედე-
გები იუმორისტული ვიდეოფილმების **ნახვამდე**, ნახვის დროს და
შემდეგ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ“ („საქ. რესპუბლიკა“, 2010);
„ჩემი ოჯახი აღნიშნული ვიდეოფირის **ნახვამდე**, გამოძიებასთან
თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა“ („რეზონანსი“, 2007)...

სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის თანახმად, როგორც ვხე-
დავთ, **-მდის** თანდებულიანი ფორმები საგრძნობლად ჩამორჩება
და, უფრო მეტიც, გაქრობის გზაზეა დამდგარი **-მდე** თანდებულიანი
ფორმებთან შედარებით (ეს არ ეხება, რა თქმა უნდა, **ნახვამდის**
გამოთხოვების ფორმულას, რაც გამონაკლისს წარმოადგენს).

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ
ლექსიკონში **-მდე**, **-მდის** თანდებულები შემდეგნაირად უნდა იყოს
წარმოდგენილი: **-მდე** [// **-მდის**].

ლიტერატურა

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თბილისი, 2016.

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო
ენის ნორმები, თბილისი.

ქელო 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი,
<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>.

ქევი – ქართული ენის კორპუსი , www.corpora.iliauni.edu.ge.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, II ტ., თბილისი.

ჩიქობავა 2011 – არნ. ჩიქობავა, შრომები, V, თბილისი.

Maka Labartkava

On Spelling the Postpositions *-mde*, *-mdis* in Modern Georgian

Summary

The paper discusses the cases of using the postpositions *-mde*, *-mdis* in the modern Georgian language. These postpositions are added to a nominal in the equative case and express the limits of an action in space and time. The postpositions *-mde*, *-mdis* are presented in “The Georgian Orthographic Dictionary” as follows: “*-mde* // *-mdis* tandebuli (mag.: *kalakamde* // *kalakamdis*, *naxvamdis*)”.

According to the norms of the modern Georgian literary language, in old Georgian the element **d** of the equative case was mainly maintained before the postposition *-mde* // *-mdis* (e.g. *dye-d-mde* // *dye-d-mdis*, *saxlad-mde*, etc.) but it disappeared very soon. Naturally, the situation is the same in modern Georgian. The element **a** of the equative case marker is only preserved in the consonant-base nominals (*saxl-a-mde*). In the old Georgian literary language both variants *-mde* and *-mdis* of this postposition were found though the first one was more common. In the literary language of XVI-XVIII, the list of these variants were added by *-mden*, *-mdena*, *-mdi*, *-mdin*, *-mdina*, *-mdisin*, *-mdisina* that have still been preserved in the dialects and some of them can be found in the

language of the writers of the second half of XIX century. The situation is similar in the literary Georgian language today – the variants *-mde*, *-mdis* are almost equally widespread.

Due to the changes in the language, one of the standard forms may become more passive and even less used.

In this regard, several lexical units having the postpositions *-mde* and *-mdis* have been examined based on the Georgian National Corpus and the Georgian Language Corpus and it has been confirmed that the lexical units having the postposition *-mde* are larger in number than the ones with the postposition *-mdis*.

The article discusses the cases of using the above-mentioned postpositions in the goodbye phrases (*naxvamdis*, *xvalamdis*). We think that in “The Georgian Orthographic Dictionary” the postpositions *-mde*, *-mdis* should be presented in this way: *-mde* [// *-mdis*].